I

2020

ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

რიგითი IX კვირა [I]
მარიამ, დედა ეკლესიისა [ს], თ
(19.V) წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლა, IVს, თ

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ

დაბ 3,9-15.20; ან, საქმ 1,12-14; ფს 86; იო 19,25-27

კახეთის ხიზაბავრის წმ. ნინოს კათოლიკური ეკლესიის დღეობა

უთხრა მოწაფეს: "აჰა, დედაშენი!" იო 19,27

პირვანდელ ეკლესიაზე სულიწმიდის გარდამოსვლისას იქ იყო მარიამიც, იესოს დედა. იოანესთან ერთად იყო, რომლის სახლშიც ცხოვრობდა და მასზე ზრუნავდა. მას, იესოს სიტყვაზე, უყვარდა იგი საკუთარი დედასავით, ჩვენს ნიმუშად: ამიტომ ვუწოდებთ მას 'დედაო ეკლესიისაო'! იგი არც მოციქულია, არც წინასწარმეტყველი, არც მოძღვარი, არ გააჩნია ტიტულები, მაგრამ დედაა. ეს კი გაცილებით მეტია, თითოეულთან უფრო ახლოა, მამის გულში მეტი ფასი აქვს!

ივნისი

რიგითი IX კვირა [I] მწ
(20.V) წმ. ღირსნი ზაბულონი და სოსანა, წმ. ნინოს მშობლები (IVს.); / წმ. მარცელინე და პეტრე წამებ. +304

სამშაბათი

2პეტ 3,11ბ-15.17-18; ფს 89; მარ 12,13-17

გაფრთხილდით, რომ არ დაკარგოთ თქვენი სიმტკიცე 2პეტ 3.17

როგორც იესო გამოიცადა ბოროტთაგან, ასევე ჩვენც გველის და გვმართებს კიდეც ხრიკებსა და ცდუნებებს გავუსწოროთ თვალი. წმიდა პეტრე გვაფრთხილებს, ფხიზლად ვიყოთ, რათა ამოვიცნოთ რწმენასთან დაკავშირებული შეცდომები. ამისათვის კვლავაც განვაგრძობთ უფალი იესოს ახლოდან და სიღრმისეულად გაცნობას!

3

2020

ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

რიგითი IX კვირა [I]

წმმ. კარლო ლვანგა და მეგ., წამ., + 1886, (მ), წ

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ

2ტიმ 1,1-3.6-12; ფს 122; მარ 12,18-27

ნუ შეგრცხვება უფლის დამოწმება 2ტიმ 1.8

წუთისოფელში ჩვენს უფალ იესოს მუდამ წინ ელობებიან და ეურჩებიან. მასზე ამბობენ, სიხარულის მტერი არისო, რაკი ყოველ ჩვენს სურვილს როდი იწონებს. წმიდა პავლე ეუბნება ტიმოთეს, მოურიდებლად მიბაძოს უფალს, რომელსაც ნებავს თითოეულის ნამდვილი სიკეთე, იმათიც, ვინც ჯერ-ჯერობით მისი მტრების ნიღაბს ირგებენ.

4 ივნისი

2020 ხუთშაბათი

2ტიმ 2,8-15; ფს 24; მარ 12,28-34

შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი მარ 12,31

მავანს ჰგონია, რომ პირველ რიგში საკუთარი თავი უნდა გვიყვარდეს, და საკუთარი სურვილები უნდა დავიკმაყოფილოთ. ამას გულისხმობდა იესო? განა ამას არ ამბობდა: "შეიყვარე ისე, როგორც შენ გინდა რომ შეგიყვარონ"?, და სხვაგან: "შეიყვარე მოყვასი, როგორც მე შეგიყვარე შენ"?

5

2020

ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

რიგითი IX კვირა [I]

წმ. ბონიფაციუსი, ეპ. და წამ., +754, (მ), წ

პარასკევი

2ტიმ 3,10-16; ფს 118; მარ 12,35-37

შენ კი იდექ იმაზე, რაც გისწავლია 2ტიმ 3,14

წმიდა პავლე შეახსენებს თავის ერთგულ მოწაფეს იმ დიდ ტანჯვებს, რისი გადატანაც მოუწია მას უფალი იესოს სიყვარულისათვის. ამ ნიმუშის გათვალისწინებით ტიმოთესაც ეყოფა მამაცობა, მტკიცედ და უდრეკად იდგეს რწმენაში. მეც ძალზე მეხმარება ხოლმე უფლის ერთგული ხალხის მოწმობა განსაცდელში, რასაც იტანენ ისინი დიდი ტანჯვით.

6

2020

ᲘᲔᲕᲜᲘᲡᲘ

რიგითი IX კვირა [I] მწ

წმ. ნორბერტი, ეპისკოპოსი, +1134

შ ა ბ ა თ ი

2ტიმ 4,1-8; ფს 70; მარ 12,38-44

აკეთე მახარებლის საქმე, აღასრულე შენი მსახურება 2ტიმ 4,5

იესო აკვირდება ქვრივს, რომელიც თავის მცირე დიდ მსხვერპლს იღებს ტაძრისათვის, ჩვენ კი ვისმენთ წმიდა პავლე მოციქულის მოხმობას, რომელსაც სიკვდილის ჟამი მოახლოვებია: მისი მოწაფე განაგრძობს მისივე საქმეს. ჩვენც ყველას ვაუწყებთ მამის სიყვარულის კეთილ ამბავს, სიყვარულისა, რომელიც ხელშესახები და ხილული გახდა იესოს პიროვნებაში!

7 ᲝᲕᲜᲝᲡᲝ

ყოვლადწმიდა სამება, «ა», დდ, [ს], თ

2020 ᲗᲕᲘᲠᲐ

გამ 34,4ბ-6.8-9; ფს: დან 3,52-56; 2კორ 13,11-13; იო 3,16-18

იქამდე შეიყვარა ღმერთმა სოფელი, რომ მისცა თავისი ერთადერთი ძე, რათა არავინ, ვინც მას ირწმუნებს, არ დაიღუპოს იო 3,16

დღესასწაული გვიდგას, ღმერთის შეცნობის საიდუმლოს თაყვანსაცემად. მოგვეცა გვეხილა მამა ღმერთის სიყვარული, რომელსაც სისავსით შეასხა ხორცი „კაცმა“ იესომ, ძემ, რომელიც თავის სულიწმიდას გვიბერავს ჩვენ. ამგვარად ჩვენც აღმოვჩნდებით ჩვენი ღმერთის სიცოცხლის შუაგულში. მადლობა მივუძღვნათ მას, და მივხვდებით, რომ ძმათა სიყვარულში უკვე ვართ ნამდვილად გარემოცულნი და აღვსილნი ერთი და სამება ღმერთის სიყვარულით.

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ

ᲗᲛᲔᲤ 17,1-6; ფს 120; მთ 5,1-12

ᲜᲔᲢᲐᲠ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲜᲘ

მთ 5,10

ვიწყებთ მათეს სახარების კითხვას და ვიწყებთ ნეტარებებით. რვაჯერ, მეტიც ცხრაჯერ წარმოთქვამს იესო სიტყვას 'ნეტარნი': ვინ არიან ისინი? მისი მოწაფენი! ისინი არიან ღატაკნი გულით, ისე, რომ არც კი სწადიათ გამდიდრება; არიან მშვიდნი, სპეტაკნი, მოწყალენი. მათი ცხოვრება ესოდენ განსხვავდება მრავალთაგან და იზიდავს მათ ანტიპატიას, რაც ხშირ შემხვევებში იქცევა მტრობად. მაშინაც ნეტარნი არიან, რადგან უკვე არიან ზენაარის სასუფევლის წევრნი!

9

2020

ივნისი

რიგითი X კვირა [II] მწ

(27.V) წმ. ღ. ბასილ ბაგრატ III-ის ძე, XIს; / წმ. ღ. მიქელ პარეხელი, VIII-IXსს / წმ. ეფრემ დიაკ. და ეკ. მოძღ. +373

სამშაბათი

Იმეფ 17,7-16; ფს 4; მთ 5,13-16

თქვენ სოფლის ნათელი ხართ მთ 5,14

წუთისოფელი წყვდიადშია? დიახ, იმდენად, რომ მას, ვინც ყველასავით ცხოვრობს, ხშირად გზა ებნევა, აკეთებს მრავალ რამეს და არ იცის რისთვის და ვერ ხედავს თავისი ნამოქმედარის აზრს. ხდება ისეც, რომ აზიანებს და ტანჯავს მრავალთ და ვერც კი ხვდება, რომ რამეს აშავებს. მას ნათელი აკლია. იესოს მოწაფენი ლამპრები არიან, რომლებშიც იესო ანთია, ყოველთა ჭეშმარიტი ნათელი!

10 2020

ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ

3მეფ 18,20-39; ფს 15; მთ 5,17-19

გაიგოს ამ ხალხმა, რომ შენ ღმერთი ხარ, უფალო 3მეფ 18,37

ესაა ელიას ლოცვა, დიდი წინასწარმეტყველისა, რომელმაც მარტომ მოაბრუნა ერი ჭეშმარიტი ღვთის რწმენაზე. მისი ლოცვა სწავლებაა ჩვენთვის. რაღა უნდა გვადარდებდეს? რომ ხალხი, ჩვენს ირგვლივ რომ ტრიალებს, იცნობდნენ მამას, და გაიცნონ ის ისე, როგორც იესომ გამოგვიცხადა. ესაა ნამდვილი სიყვარული.

II

2020

ᲘᲔᲕᲜᲘᲡᲘ

უწმიდესი ხორცი და სისხლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, «ა», დდ, [ს], თ

ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს დამდეგ კვირადღეს

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

რფლ 8,2-3.14ხ-16ა; ფს 147; 1კორ 10,16-17; იო 6,51-58

ჩემი მჭამელი იცოცხლებს ჩემით იო 6,57

ჭამა ის ქმედებაა, როდესაც ჩვენში შეგვაქვს რაღაც, რისგანაც ვიღებთ ენერგიასა და ჯანმრთელობას. იესო იყენებს ამ სიტყვას როგორც ხატს, რათა მოგვიხმოს მივიღოთ ჩვენში თავად იგი, მისი პიროვნება, ის, რისთვისაც ცოცხლობს იგი, მისი სიბრძნე. როდესაც იგია ჩვენში, ვღებულობთ შინაგან ძალას, რათა განვაგრძოთ გარჯა, რასაც მოითხოვს ჩვენგან მამის მიბაძვა.

12
2020

ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

რიგითი X კვირა [II]

წმ. გასპარე ბერტონი, სტიგმატელთა
კონგრეგაციის დამაარსებელი, +1853, თ

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ

ᲛᲔᲝᲒ 19, 9.11-16; ᲤᲡ 26; ᲛᲗ 5,27-32

დადექი მთაზე უფლის წინაშე ᲛᲔᲝᲒ 19.11

წინასწარმეტყველ ელიას ესმის ეს სიტყვები. იგი ლტოლვილი იყო, მოსაკლავად ეძებდნენ მას. და აი, მას იწვევენ უფალთან შესახვედრად, სრულებით იდუმალი სახით. ღმერთი კი, შემდეგ, რთული დავალებით მიავლეს მას უკან. ელია გაუგონებს უფალს: უწყის, რომ ღვთის გამგონეს არ მოაკლდება მისი მფარველობა.

13

2020

ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

რიგითი X კვირა [II]

წმ. ანტონ პადუელი, ხუც. და ეკლ. მოძღ., +1231, (მ), თ

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

ᲛᲔᲤᲔ 19,19-21; ფს 15; მთ 5,33-37

იეს თქვენი სიტყვა: 'ჰო' ჰო! 'არა' არა! რაც ამაზე მეტია, ის ბოროტისგანაა მთ 5,37

ჩვენი სიტყვები მნიშვნელოვანია, გვეუბ-ნება ძე ღვთისა! იესო გვეუბნება, მოკლედ ვისაუბროთ და უბრალოებით გამოვთქვათ სათქმელი. მრავალსიტყვაობაში შესაძლოა შეგვერიოს მამის სიყვარულისათვის უცხო გრძნობები თუ სურვილები. ის, რაც მისი სიყვარულიდან არ მომდინარეობს, მტრის-განაა, მაშინაც, როცა ვერ ვამჩნევთ ამას.

14

2020

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ

რიგითი XI კვირადღე, «ა», [III], მწ

(ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს
უწმიდესი ხორცისა და სისხლის დიდდღესასწაული)

ᲙᲕᲘᲠᲐ

გამ 19,2-6ა; ფს 99; რომ 5,6-11; მთ 9,36-10,8

უსასყიდლოდ მიგიღიათ, უსასყიდლოდ გაეცით მთ 10,7

თავისი მოღვაწეობის განმავლობაში იესო
შეხვდა ძალზე მცირე რაოდენობის ხალხს.
არადა მისი გულმოწყალება, ღვთის
გულმოწყალება, უსაზღვროა. იმისათვის,
რომ მისულიყო რაც შეიძლება მეტთან,
იესომ აირჩია თორმეტი მოციქული
და მიავლინა ისინი მთელ მხარეში.
ამაღლებისას კი მთელ მსოფლიოს
უტოვებს მათ საქადაგებლად. მათი
დავალებაა მხოლოდ მარცვლის მობნევა,
რომლის ზრდაც ღვთის საქმეა.
ჩვენი ეკლესია ხომ არ ძუნწობს
სახარების სიტყვის თესვისას?

15

2020

ივნისი

რიგითი XI კვირა [III] მწ

ორშაბათი

ᲛᲔᲤᲔ 21,1-16; ფს 5; მთ 5,38-42

ვინც გთხოვოს, მიეცი მთ 5,42

იესო გვასწავლის ცხოვრებას, ღვთის შვილთა სადარ ცხოვრებას. ღვთის შვილი როდი პასუხობს ბოროტებას სხვებივით. არადა, ის მუდამ მგრძნობიარეა იმ სიყვარულზე, მამისაგან რომ ღებულობს ყოველ მომენტში. და არც თავის ქონებას ჩასჭიდებია ხარბად, არამედ იყენებს მას სიხარულისა და სიყვარულის სამსახურში: თან ხომ ვერაფერს წაიღებს სამსჯავროზე, მით უმეტეს, რომ ვიწრო კარში გასასვლელად ყველაფერი ზედმეტია.

16 2020

ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

რიგითი XI კვირა [III] მწ

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ

ᲗᲛᲔᲤ 21,17-29; ფს 50; მთ 5,43-48

მე კი გეუბნებით: გიყვარდეთ თქვენი მტრები მთ 5,44

რატომ გვიბრძანებს ამას იესო? მხოლოდ იმიტომ, რომ ვუყვარვართ. ჩვენთვის ჩვენი მტრები მტრები არ არიან, არამედ ხალხი, რომელიც უნდა დაიხსნა ბოროტის ხაფანგიდან. მივაწვდით მათ მამის სიყვარულის ნიშნებს, ამგვარად შეძლებენ გონს მოსვლას და მასთან დაბრუნებას, თანამშრომლობას და სიყვარულს.

17 2020

ივნისი

ოთხშაბათი

ყმეფ 2,1.6-14; ფს 30; მთ 6,1-6.16-18

ილოცე დაფარულში მყოფი შენი მამისადმი მთ 6,6

იცი ლოცვა? ვინ გასწავლა? იესოსგან ისწავლე? ლოცვა რთული საქმეა, ყოველდღე ხელახლა სასწავლი. ლოცვა ნიშნავს, მამის წინაშე დგომას, მაშინაც, როცა ვერ ვხედავ მას. და სწორედ იმიტომ, რომ იგი არ გვენახება, მეც ჩემი გულის სიღრმეში ვრჩები მასთან.

18 2020

ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

რიგითი XI კვირა [III] მწ

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

ზირ 49,1-14; ფს 96; მთ 6,7-15

ნეტარ არიან სიუვარულში განსვენებულნი ზირ 49,11

ამგვარად სრულდება ელია წინასწარმეტყველის ქება. მას ვხედავთ დღევანდელი სახარების ბოლოშიც. იესო გვეუბნება, რომ ვინც მიუტევებს სხვებს მათ ბრალს, მამისაგან მიიღებს მიტევებას. სიკვდილამდე გვსურს მივუტევოთ ყოველივე ყველას, რათა რაც შეიძლება სავსე სიყვარულით განვისვენოთ!

19 2020

ᲘᲔᲡᲣᲡᲘ

იესოს ღმრთაებრივი გული, «ა», დდ, [ს], თ

პარასკევი

რჯულ 7,6-11; ფს 102; 1იო 4,7-16; მთ 11,25-30

ხიზაბავრის (ასპინძა) კათოლიკური ეკლესიის დღეობა

მოდით ჩემთან და მე მოგასვენებთ თქვენ მთ 11,28

ამას გვთავაზობს იესო დღითი დღე. მან უწყის რომ ყოველდღე გვხვდება სხვადასხვაგვარი წვალება და სატანჯველი. როგორც იწვევდა მაშინდელ მოწაფეებს მოსასვენებლად წასულიყვნენ უდაბურ ადგილას, ასევე დღეს მოგვიხმობს თავისთან. მის წინაშე ვღებულობთ შვებასა და იმედს. ვხედავთ, რომ ცოდვილნი ვართ და ეკლესიაში ბევრს ვურევთ? ის კი მოგვიხმობს; სასოებით მივიდეთ მასთან! მის გულში უწესრიგო ცოდვილთათვისაცაა ადგილი.

20

2020

ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

რიგითი XI კვირა [III]

ნეტ. ქალწ. მარიამის უმანკო გული (მ) თ

შ ა ბ ა თ ი

2ნეშტ 24,17-25; ფს 88; მთ 6,24-34
(ან, ეს 61,9-11; ფს: 1მეფ 2; ლკ 2,41-51)

ვერ ემსახურებით ღმერთსაც
და სიმდიდრესაც მთ 6,24

ვისგან ვისწავლით მხოლოდ უფლის
მსახურებას? დღეს ვსწავლობთ
მარიამისგან. მისი 'უმანკო' გული,
ღვთისადმი ურჩობით წაუბილწავი გული
ძლიერი და მუდმივი ნიმუშია ჩვენთვის.
მასვე შეგვიძლია ვთხოვოთ, ილოცოს,
რათა მუდამ მამის ნებას ვეძებდეთ.

21 0ᲕᲜᲘᲡᲘ

2020 ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

რიგითი XII კვირადღე, «ა», [IV], მწ

იერ 20,10-13; ფს 68; რომ 5,12-15; მთ 10,26-33

თქვენ თავზე თმებიც კი დათვლილია მთ 10,30

ჩვენი თმების რაოდენობა როდია მნიშვნელოვანი! იესო ამ სიტყვებით ცდილობს, მამისადმი ნდობა გაგვიღვიძოს. მისდამი სასოება განდევნის აუცილებლის გარეშე დარჩენისა თუ ადამიანთაგან უსამართლო მოქცევის შიშს. მისთვის ჩვენი სიცოცხლე მნიშვნელოვანია, დიდი განძია. შემიძლია მუდამ მშვიდი და გახარებული ვიყო.

22

2020

ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

რიგითი XII კვირა [IV] მწ

წმ. პავლინ ნოლადან, +431;
წმმ. იოანე ფიშერი, ეპ. და თომას მორი, წამ., +1535

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ

Ყმეფ 17,5-8.13-15.18; ფს 59; მთ 7,1-5

ჯერ შენი თვალიდან დირე ამოიღე მთ 7,5

იესოს სურს, ვიქცეთ სიყვარულად ღმერთის დარად. ყველა საშუალებას მიმართავს, რათა დაგვეხმაროს წინაღობების დაძლევაში! სიყვარულის გზაზე აღმართული ერთერთი წინაღობაა ძმათა განსჯა და კრიტიკა. ბუნებრივად მოგვდის კრიტიკის სურვილი, მაშინაც კი, როცა ნათელია, რომ ამ ადამიანის ვერც წარსულს და ვერც მომავალს ვერ ვხედავთ სრულად. ცოტაოდენი თავკერძობა მუდამ თან დაგვდევს, ეს კი ამრუდებს სწორად დანახვის შესაძლებლობას. ჯერ მე დავყვები უფალს და ჩემს თავს შევასწორებინებ, რის შემდეგაც, შესაძლოა, შევძლებ კიდეც ძმის დახმარებას.

23 2020

ივნისი

სამშაბათი

Კმეფ 19,9-11.14-21.31-35.36; ფს 47; მთ 7,6.12-14

შედით ვიწრო კარიბჭით მთ 7,13

წმიდა გონიერებაზე საუბრის შემდეგ იესო მოგვიხმობს, არ ავირიდოთ მამასთან მისასვლელად საჭირო გარჯა: ყოველივე იმის მიტოვების გარჯა, რაც ტვირთივით გვკიდია და ხელს გვიშლის მასთან შეხვედრაში. იგი საუბრობს ვიწრო კარზე, რათა გვითხრას, რომ სიმდიდრე, საკუთრება წინაღობაა. ერთმა მითხრა, რომ ამ კარს ჯვრის ფორმა აქვსო!

წმ. იოანე ნათლისმცემლის შობა, დდ, [ს], თ

ეს Ч9,1-6; ფს 138; საქ 13,22-26; ლკ 1,57-66.80

იოანეა მისი სახელი ლკ 1,63

ახალი სახელი ზაქარიასა და ელისაბედის ოჯახში: სახელი, რომელიც სამუდამო სიახლედ დარჩება საუკუნეებში. ესაა სახელი, რომელიც ნიშნავს: ღმერთი მოწყალეა! ესაა სახელი, რომელიცაა იმედი, ძალა, სიმამაცე, სიხარულის წყარო. თითოეული ჩვენგანის სახელია ის: მრავალგვარად გამოვთქვამთ და ვასხამთ ხორცს ამ სახელს, რომელიც გამუდმებით განაახლებს ჩვენს ცხოვრებას.

25 2020

ივნისი

რიგითი XII კვირა [IV] მწ

(12.VI) წმ. ღირსი ისიდორე სამთავნელი, მონაზონი, VIს; წმ. იოანე-თორნიკე მთაწმიდელი, Xს

ხუთშაბათი

Ყმეფ 24,8-17; ფს 78; მთ 7,21-29

იგი ასწავლიდა მათ, როგორც ხელმწიფების მქონე მთ 7,29

იესომ დაასრულა 'მთის ქადაგება', რომელშიც მოუყარა თავი დიდ სიბრძნეს ადამიანთა ცხოვრებისათვის. და ადამიანები, რომლებმაც უსმინეს მას, მიხვდნენ, რომ მის სიტყვებს ძალმოსილება ახლავს თან არა იმიტომ, რომ დასაშინებლად იყო ნათქვამი ძალადობით, არამედ იმიტომ, რომ ღვთის სიყვარულს გადასცემენ და გვეხმარებიან ღმერთის დარად შეყვარებაში: ჭეშმარიტების სიტყვებია!

26 2020

ივნისი

რიგითი XII კვირა [IV] მწ

პარასკევი

ყმეფ 25,1-12; ფს 136; მთ 8,1-4

უფალო, თუ გინდა, შეძლებ ჩემს განწმედას მთ 8,2

ამ სიტყვებით იმედით მიეახლება კეთროვანი იესოს და არ რჩება გაწბილებული. ჩვენც გვჭირდება ხოლმე მრავალი კერპისაგან და მათგან მომდინარე სიდამპლისაგან განწმედა. ვთხოვოთ უფალს, განწმიდოს ჩვენი საზოგადოებაც, რათა იყოს წუთისოფლის მარილი და ლამპარი, რომელიც ატარებს იესოს ნათელს.

27 2020

ივნისი

რიგითი XII კვირა [IV] მწ

წმ. კირილე ალექსანდრიელი, ეპ. და ეკლ. მოძ., +444

შაბათი

გოდ 2,2.10-14.18-19; ფს 73; მთ 8,5-17

უფალო, არა ვარ ღირსი, რომ ჩემს ჭერქვეშ შემოხვიდე მთ 8,8

იესო გააკვირვა ამ ლოცვამ: მდაბალი და ნამდვილი ლოცვაა. როცა თავს ღირსად მივიჩნევ, ვხდები მედიდური, ღვთის გულს რომ არაფრით ვგავარ. ვიდრე იესოს ტრაპეზს მივეახლები, მეც გავიმეორებ ლოცვას: არა ვარ ღირსი; არა ვარ ღირსი; არა ვარ ღირსი. მივეახლები, რადგან მომიწვია და მაკურთხა ეკლესიამ, ასე რომ არა, ვერ გავბედავდი: არ მინდა პრეტენზიები წავუყენო იესოს.

28 0 3 6 0 ს 0

2020 ვ ვ 0 რ ა

რიგითი XIII კვირადღე, «ა», [I], მწ

Კმეფ 4,8-11.14-16; ფს 88; რომ 6,3-4.8-11; მთ 10,37-42

თავისი სულის ჩემს გამო დამღუპველი, ჰპოვებს მას მთ 10,39

ახალ ადამიანს, მამისაგან განახლებულს, წუთისოფელში გავრცობილი ცოდვისაგან თავისუფალს, ამქვეყნიურ მოგზაურობა-ში იესო ჰყავს ერთადერთ ორიენტირად: სხვაც რომ ჰყოლოდა, ვეღარ იქნებოდა ღვთისნიერი. ამან შესაძლოა ბევრ რამეზე უარის თქმა მოითხოვოს ჩვენგან, მეგობრე-ბის დაკარგვა, სახელის გაფუჭება... თუმცა გაცილებით მეტსაა რომ ვპოულობთ!

29 ივნისი

2020 ორშაბათი

წმ. პეტრე და პავლე მოციქულნი დდ, [ს], წ

საქ 12,1-11; ფს 33; 2ტიმ 4,6-8.17-18; მთ 16,13-19

თბილისის წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესიის დღეობა. შესაწირავი პაპისათვის.

თქვენ კი რას იტყვით, ვინა ვარ მე? მთ 16,15

იესომ მხოლოდ ერთხელ დასვა ეს კითხვა. მოწაფეს მართებს პასუხის გაცემა მკაფიოდ. უნდა იცოდეს, ვის მიჰყვება, ვისთვის ცოცლხობს, ვისთვის ირჯება, ვისთვის კვდება. უნდა იცოდეს, ვინაა ის, ვინც უყვარს. რა მოწაფე ვარ, თუკი ვერ ვხედავ ნათლად, თუკი არ ვიცი მტკიცედ ვინაა ჩემი უფალი, ჩემი მოძღვარი, ჩემი მეგობარი? ვინც ეჭვებს გამოთქვამს, თესავს სიცრუეს.

30
2020

ივნისი

რიგითი XIII კვირა [I] მწ

წმ. შალვა ახალციხელი, +1227;
რომის ეკლესიის წმიდა პირველმოწამენი, +64

სამშაბათი

ამ 3,1-8; 4,11-12; ფს 5; მთ 8,23-27

გაემზადე შენი ღვთის შესახვედრად, ისრაელო!" ამ 4,12

წინასწარმეტყველი მთელი რიგი კითხვებით აგულიანებს ერს, ძალისხმევა არ დაიშურონ უფლის, თავიანთი ღმერთის გასაცნობად: მას უპრყია ხელთ თავის მორწმუნეთა ხვედრი. იესომ უწყოდა ეს, ამიტომაც, ნავზე განაგრძობდა ძილს მოწაფეთა დამზაფვრელი ქარიშხლის მიუხედავად: მათ რწმენა აკლდათ და იესოსაც დასჭირდა მათი გაღვიძება!